

ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის
N42 ბინაზე, მოქალაქე იამზე გოგოდისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე იამზე გოგოდის განცხადება /2011 წლის 23.12 Nგ-10095/, რითაც ითხოვს ბინაზე /ძღებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N42 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N42 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იამზე გოგოდეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიდის ქ.მე-2 მიკრორაიონი N14 საცხოვრებელი სახლის N42 ბინაზე /საერთო ფართობი 63,55 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,89 კვ.მ, დამხმარე ფართობი 27,66 კვ.მ./ მოქალაქე იამზე გოგოდის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე